6347/3-120/21 2 23062021

6347/3-120/21
23-06-2021

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით:

ჩემთან, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრთან შემოსულია მსჯავრდებულის, დავით თემურის-ძე აბაშიძის წერილი. აღნიშნული წერილიდან ირკვევა, რომ დავით აბაშიძე იმყოფება სასჯელაღსრულების მე-18 დაწესებულებაში. მისი ჯამრთელობის მდგომარეობა კი არის მძიმე.

აგრეთვე, წერილიდან ირკვევა, რომ მას დაუყოვნებლივ ესაჭიროება სათანადო მკურნალობა. ამასთან, ის აკმაყოფილების სპეციალური ელექტრონული მოწყობილობით მონიტორინგის პირობებში გათავისუფლების მოთხოვნებს, თუმცა შესაბამისი ელექტრონული მოწყობილობის არ ქონის გამო აღნიშნულით სარგებლობის საშუალება არ ეძლევა.

გამომდინარე აქედან, გთხოვთ მიპასუხოთ:

- რამდენად დამაკმაყოფილებელია მსჯავრდებულის მდგომარეობა?
- იღებს თუ არა ის სათანადო მკურნალობას?
- რა არის საჭირო იმისათვის, რომ მან შეძლოს სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვება სპეციალური ელექტრონული მოწყობილობით მონიტორინგის ფარგლებში?

დანართის სახით გიგზავნით მსჯავრდებულის წერილს.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მამუკა ხაზარაძე

ბატონ ...
ქ. ...ში ...
№ 28 ...
...

...

...ბატონ ქ. ...ში ...
...ის ...ებლობა ...
...ებელ ...ულ ...
...ი ...ულ ...
...ულ ...ულ ...
...ულ ...ულ ...
...ულ

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სპეციალური პენიტენციური სამსახური
აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭო

KA010162657435521

0186, ქ. თბილისი ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N27, საქართველო
N27, Zurab Anjaparidze str, Tbilisi, 0186, Georgia, www.sps.gov.ge
ტელ./Tel.:(995 32) 2312734

№173770/01

24 / ივლისი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ მამუკა ხაზარაძეს

ბატონო მამუკა,

სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველ ადგილობრივ საბჭოში შემოვიდა თქვენი განცხადება, სადაც ითხოვთ ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა არის საჭირო მსჯავრდებულ **დავით თემურის ძე აბაშიძისათვის** დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - **შინაპატიმრობით** შეცვლისათვის.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, პატიმრობის კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო არის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი ორგანო.

განგიმარტავთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, ადგილობრივ საბჭოს შეუძლია თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის დროს მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა: ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი; მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი. აღნიშნულ შემთხვევაში, მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა იყოს სამ თვეზე ნაკლები.

რაც შეეხება მსჯავრდებულის ავადმყოფობას, გაცნობებთ რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლება ხდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულს შეუძლია შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას, აღნიშნულთან დაკავშირებით არაერთხელ ეცნობა მსჯავრდებულს.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

აღმოსავლეთ საქართველოს პირველი
ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარე

დავით ერგემლიძე